სახალხო გაზეთი

№ 505 შაბათი, 21 იანვარი 1912 წ. № 505

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ საავჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის ჭანცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. [illegible]

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ ერთ [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები [illegible] პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სახალხოს ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо-газети, п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ბუფეტი. სახალხო ბიბლიოთეკა

ქართული თეატრი, კვირას, 22 იანვარს, 1912 წ.

მ. მ. საფაროვ-აბაშიძის საიუბილეო დღესასწაულის გეგმა

დილით 12 საათზე. 1. **მ. მ. საფაროვ-აბაშიძისას** სცენაზე გამოიყვანს მხცოვანი მგოსანი **აკაკი** და მიმართავს სიტყვით. 2. **„მრავალ-ჟამიერ"** კანტატა ზ. ფალიაშვილისა, ორკესტრი „ახალი კლუბისა" და შეერთებული ხორო ქართულ გიმნაზიისა და ფილარმონიულ საზოგადოებისა. 3. **მილოცვები სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა და პირთა.** (შიგა და შიგ იგივე ხორო ქართულ ეროვნულ სიმღერებს იმღერებს).

— **დილის დღესასწაული დასრულდება იუბილარის სიტყვით** —

საღამოთი (8 საათზე). 1) შეერთებული ხორო ქართულ გიმნაზიისა და ფილარმონიულ საზოგადოებისა და „ახალი კლუბის" ორკესტრი შეასრულებს **კანტატას**; 2) ქართულ დრამ. საზოგადოების დასის მიერ **მ. მ. საფაროვ-აბაშიძის, ვლ. ალექსი-მესხიშვილის, ვასო აბაშიძისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება:

1) **პარიზელი გიჭი** კომედ. 2 მოქ. თარგ. გ. ჯორჯაძისა. 2) **ბიძასთან გამოსახუმრება**

ხუმრობა ერთ მოქ. **მილოცვა დრამატიულის** და დასარაფ. ერისთავისა. — **დასასრულ** — **აპოთეოზი**

შენიშვნა: ჩაწერილი ბილეთები შეინახება მხოლოდ 20 იანვარს საღამომდე.

(3—194—2)

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

სურათებიანი დამატებით
(კვირაობით)

პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემლი**

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი,
რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი" დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარეშე, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასო.

ეძებსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი" მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილოგით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

კვირას, 22 იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდალებულ

ვანო ზაქარიას ძის ჩხიკვაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობთ მისი გულდამწვარი მშობლები **სოფიო გრიგოლის ასული** და **ზაქარია ივანეს ძე ჩხიკვაძენი,** შვილებითა და მამიდით. წირვა დაიწყება დილის 9½ ს., ხოლო პანაშვიდი 11½ საათზე.

(2—1059—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძველნიშვის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

ზინაგან ავადმყ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
	ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
	ბაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო. ქალ. სნეულ.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ექიმ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათინიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
	ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.
თვალ. ექ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კანონ. ექ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმია და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვისა 10 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606" წამლის** შეშაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—250)

გირჭის ზალა

კვირას, 22 იანვარს, ქართულ სცენის მოყვარეთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პატარა კახი, ისტორიული დრამა 5 მოქ. წერეთლისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი ნ. კეკრიძე, მარგველაშვილი; ბ-ნნი: ლ. გიორგობიანი, გ. ოჭანეზოვი, დ. თვალტრელიძე. ტ. ქვემოკლიძე. გ. ბერიშვილი, თ. გველესიანი, გ. მოხევე, ვ. გარსევანოვი, ი. ჩიჩაროანი, გ. ფირიაშვილი, ვ. სტეფანოვი.

ანტრაქტებში დაუკრავს მანდალინისტთა გუნდი. ადგილ. ფასი **50** კ. 20 კ.

ბილეთები იყიდება ბირჟის კასაში. **დასაწყ. შუადღ. 2 ს.**

(2—1064—2) გამგენი **ნ. გ. მოხევე** და **თ. გველესიანი.**

ქ. თ ე ლ ა ვ ი

კვირას, 22 იანვარს, ქალაქის საკრებულო დარბაზში ქართულ სცენის მოჭირნახულე **მარიამ მიხეილის ასულის საფაროვ-აბაშიძის** პატივსაცემად გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა

I **აპოთეოზი** — მ. საფაროვ-აბაშიძის ბიოგრაფია და სიმღერები.

II **ვაის გავეჭარე ვუის შეეჭარე** — 3 მოქ. კომ. ვ. გუნიასი.

III **ცეკვა.**

ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

(2—1065—2) საღამოს დიასახლისი **მარიამ მ. კანდელაკისა.**

ახალი კლუბი

შაბათს, 21 იანვარს, საოჯახო საღამო

ქართულ თეატრში: **სინემატოგრაფი**

და **საკონცერტო განყოფილება.** **დასაწყ. საღ. 8½ ს.**

სპექტაკლის შემდეგ **იაფი ლოტო.** სტუმრები იხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდ. 25 კ. (1—1068—1)

მიიღება ხელის მოწერა 20 დეკემბრიდან 20 თებერვლამდე.

დ. უზნაძის წიგნზე

ექსპერიმენტალური პედაგოგიკა

(შესავალი)

წიგნი მოგვითხრობს ბავშვის ფსიხოლოგიის ისტორიას და ახასიათებს ყველა მნიშვნელოვან ფსიხოლოგიურ სფერას: ყურადღებას, ინტერესს, დაღლილობის პრობლემას, მეხსიერებას და სხვ. ხელის მოწერა ნიღება ქუთაისში: „კოლხიდის" რედაქციაში და ამთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტ. „იმერეთში". თბილისში: „სახალხო გაზეთის" რედაქციაში.

(20—1655—4) **ფასი ხელისმომწერთათვის ორი აბაზი.**

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა

აკაკი-ს

თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავ და აგრედვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა"-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის" რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში". ბათომს ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.5)

დოქტორი მედიცინისა წამლოგა ჭლექისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—81).

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლოგა 606 -

(წლ. 1090 255)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., № 5.

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კირჩხნის ქ. სახ. № 18, თავ. ვახინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 88)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 60).

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიბრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 2 6)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქუჩაზე, №23. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

-ვადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპიზოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

ბოგუოვსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ. 4—5 საათ.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშ. ყოველ დღე 9½ სათ. 1 ს.

მონსე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

კალამკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

რიდელი. შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია. ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.

რუდენკო. შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ბაგდოევისა, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. 10—11 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1032—44).

ექიმი კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი

მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხვეს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. № 7. (50--1552--27)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა ძაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.22)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყოფობას.. ვასსერმანის რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 3—5½ საათამდე, **ელისაბედის ქუჩა,** № 94, საფოსტო განყოფილების პირდაპირ. (თ.—183—)

ექიმი ჰ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.46).

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9--2 საათ. და საღ., 5--7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი ზ. მ. ღოლოგერიძე იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4 6 საათ. წამლობა ფოსფაციდით. კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ--1657--20)

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—81).

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—34).

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

ინგლისის ელჩის მიერ გამართულს ნადიმზე, სხვათა შორის, მოწვეულ იქმნა დეპუტატი ნისსელოვიჩი, რომელმაც უარი განაცხადა მონაწილეობის მიღებაზე. დეპუტატ ნ. პოლეტაევის შეკითხვაზე: რა იყო ამისი მიზეზიო, ნისელოვიჩს განუცხადებია:

სამწუხაროდ, იძულებული ვიყავი უარი მეთქვა ინგლისელ სტუმართა პატიტივისცემაში მონაწილეობაზე, რადგან უკანასკნელ დროს მეტად ცუდ გუნებაზე ვარ. მე და ჩემი თანამოაზრენი, რასაკვირველია, ძლიერ მოხარულნი ვართ ღრმა კულტურულსან ინგლისთან რუსეთის დაახლოვების გამო. მაგრამ მე მიმძიმს ინგლისის ერის წარმომადგენელთა შეხვედრა, რადგან მათს წინაშე იძულებული ვიქნებოდი, თუ საუბარი ჩემს მრავალტანჯულს მოძმეებზე ჩამოვარდებოდა, სიმართლე დამემალა.

თქვენ კარგად იცით, რომ მეტად მწარე ტანჯვას განვიცდი, როდესაც სათაბიროს ტრიბუნიდან ჩვენი მტრების მიერ ებრაელ ხალხის წინააღმდეგ მიმართულ სიტყვებს მოვისმენ. განა მათ დაირცხვინეს ის, რომ საშუალო საუკუნოების ანდერძევი ბრალდება მოახვიეს ებრაელებს მხოლოდ იმისთვის, რომ მათ წინააღმდეგ აემხედრებინათ რუსის ხალხი? თითქმის ყოველ დღე ახალ-ახალ ზომებს იღებენ, რომ ებრაელების ცხოვრება რუსეთში აუტანელი გახადონ. მეტად მიმძიმს და მწარე ტკივილსაც ვგრძნობ, რომ უარს ვაცხადებ იმ პატივზე, რომლითაც ინგლისის მეფის წარმომადგენელი მე, როგორც ებრაელების წარმომადგენელს, მომეპყრო, მაგრამ იმედი მაქვს, ინგლისელები მიჰხვდებიან ჩემს მდგომარეობას და საყვედურს არ მეტყვიან.

დასასრულ, მიუხედავად დღევანდელის პირობებისა, ვიმედოვნებ, რომ რუსეთის ხალხი შემდეგ მაინც მიანიჭებს ებრაელებს ადამიანისა და მოქალაქის უფლებას და ეს მით უფრო ადრე ასრულდება, რაც მალე განხორციელდება თავისუფლების მოყვარულ ინგლისთან რუსეთის ნამდვილი კავშირი".

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ქალაქის გამგეობის წევრის არჩევნები** გუმინ გუბერნატორს დასამტკიცებლად წარედგინა, როგორც ვწერდით, წევრად კვლავ თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი აირჩიეს. არჩევნების დამტკიცების შემდეგ ქალაქის მოურავის მოადგილის არჩევა მოხდება. ეს ადგილი აქამდე თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუ-

კოვს ეჭირა, მაგრამ, როგორც ყური მოვკარით, ამ თანამდებობაზე ყუთს აღარ დაიდგამს, რადგან გამგეობის წევრად არჩევის დროსაც კინაღამ მარცხი მოუვიდა და ბევრი შავი კენჭი ეიღო. ამ თანამდებობაზე გამგეობის წევრის გ. დ. ჟურულის კამდიდატურას ასახელებენ.

✦ **შუამდგომლობა.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დავალებით ამ საზოგადოების წევრმა და ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ი. ს. ჯაბადარმა ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, შეტანილ იქმნეს ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში 600 მან. საბაღოსნო სკოლაში ოთხის სტიპენდიის დასაარსებლად. ბ-ნი ჯაბადარი შუამდგომლობაში აღნიშნავს: ამ სასწავლებელში ამ ჟამად მყოფ 65 მოსწავლიდან ცაბეტი ტფილისის მოქალაქეთა შვილებიაო; ამას გარდა ამ სასწავლებელში 25 წლის განმავლობაში ნაყოფ მოსწავლეთა 25% ტფ. მოქალაქეთა შვილები შეადგენდნენ. ამიტომ ბ-ნს ჯაბადარს სამართლიანად მიაჩნია, რომ ქალაქმა საბაღოსნო სასწავლებელს 600 მან. დახმარება აღმოუჩინოს.

✦ ქალაქი უძრავ ქონებათა შეფასების გამო აღძრულ საჩივრების განხილვას უკვე შეუდგა, ამ საჩივრების განმხილველ ქალაქის საბჭოს კომისია, რომელსაც 19 იანვარს ხმოსანის ს. ჭრელაშვილის თავმჯდომარეობით პირველი კრება ჰქონდა. კომისიის წევრნი ოთხ ჯგუფად გაიყვნენ (თითო ჯგუფში ორი კაცი შედის) და 37 საჩივარი გაანაწილეს. საჩივრების საფუძვლიანობას ჯგუფები ადგილობრივ შეამოწმებენ. ქალაქის გამგეობაში სულ 1000-დე საჩივარია შესული.

✦ **კოჯრის გზა.** ქალაქის გამგეობამ უკვე შეადგინა და ცალკე წიგნაკად დაბეჭდა ვრცელი მოხსენება ტფილისიდან კოჯრამდე სოლოლაკის გვირაბით გზის გაყვანის თაობაზე.

✦ **ქალაქის საბჭოს** კრებაზე 23 იანვარს, სხვათა შორის, განსახილველი აქვს ქალაქის კანტროლის უკანასკნელ ორის წლის მოქმედების ანგარიში. ამასთანვე განიხილავს იმ საკითხებს, რომელთაც კავშირი აქვთ კანტროლის შტატის რეორგანიზაციასთან.

✦ **წვრილ კრედიტის საქმეთა სამმართველოს** განზრახული აქვს, მოკლე ხანში 11 საკრედიტო ამხანაგობა გახსნას: 9—სიღნაღის მაზრაში, ერთი—ტფილისისა და ერთიც—თელავისში. ამ მოკლე ხანში წვრილ კრედიტის ინსპექტორმა ვ. ლ. ვიფორსმა სიღნაღის მაზრაში ყველა საკრედიტო დაწესებულება დაათვალიერა და დარწმუნდა, რომ მათი რიცხვი საჭიროებასთან შედარებით ერთობ მცირეა. ამ მაზრაში შემდეგ სოფლებში გაიხსნება ამხანაგობანი: 1) ჯუგაანში, 2) (?), 3) თუქურმიშასა, 4) ქვემო-მაჩხაანსა, 5) ბოდბისხევსა (ძირითად თანხად თითო ამხანაგობას ორასი თუმანი. ხოლო მოკლე ვადიან სესხად ხუთასი თუმანი მიეცემა), 6) ალექსიევსკსა, 7) კარდანახბოდბესა, 8) ლიანსა და 9) არაშენდაში. ამას გარდა სამმართველომ დაადგინა, ალის, კახისა და რუისის ამხანაგობებს ას-ასი თუმანი კიდევ მისცეს ძირითად თანხის გასაძლიერებლად.

✦ **შავის ზღვის რკინის გზის საკითხი.** სახელმწიფო სათათბიროში მარტის პირველ რიცხვებში იქმნება განსახილველად შეტანილი.

✦ **პენსია.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ წელიწადში შვიდ-შვიდი თუმანი პენსია დაუნიშნა გორის მაზრის მემამულის თავ. იასონ ციციშვილის შვილებს: სალომესა და ნიკოლოზსა.

✦ **მ. მ. საფაროვ-აბაშიძის იუბილე.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ, კვირას, 22 იანვარს, ძსახიობ ქალის მ საფაროვ-აბაშიძის იუბილეზე მონაწილეობას მიიღებს ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა და ქართულ გიმნაზიის ოჯღერალთა ძეერთებული გუნდი. ორივე გუნდი, კარგა ხანია, დღესასწაულის შესაფერს სიმღერებს ამზადებს.

✦ **2** იანვარს მომგებიან ბილეთების ლატარიის დროს ტფილისში არსებულ ბ. ცეიტლინისა და გრინბერგის ორმა ნოქარმა **ბ. შკლიარევსკიმა და ი. მიტოლევსკიმ მოიგეს ორასი ათასი მანათი.** ათ ამ ცოტა ხანში შეუძენიათ მომგებიანი ბილეთი და ძხოლოდ ერთი თუმანი ჰქონიათ შეტანილი. ეს ფული მათ უკვე მიიღეს.

✦ **რეფერატი.** დღეს, საღამოს 8 საათზე, საზოგადო კლუბში ბატანიკის ბაგისტრი ა. ვ. ფომინი რეფერატს წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „ალპიური ფლორა კავკასიაში“. რეფერენტს აზრად აქვს გამოარკვიოს ტფილისის ძომავალ საფიზიკო-სამათემატიკო ფაკულტეტის დანიშნულება. რეფერატის შემდეგ კლუბის წევრთა წლიური კრება მოხდება.

✦ **ქართული საბავშვო კითხვები.** 22 იანვარს, დილის 11 საათზე შემდეგს ადგილებში გაიმართება: 1) საბკურნალო საზოგადოებაში წაიკითხავს ქ-ნი ლორთქიფანიძე: „ბუს ზღაპარი“, 2) ავჭალის აუდიტორიაში—ქ-ნი ფაღავა „მარილი“, 3) ავლაბარში—ქ-ნი ნასიძე: „კოწია და სათამაშო“ და 4) ნავთლუღში—ქ-ნი ჟურული; „კატები“.

✦ **წვრილ კრედიტის საქმეთა სამმართველომ** ნება დართო გორის მაზრის სოფელ კავთისხევში წვრილ კრედიტის ამხანაგობამ დაიოსონ. ამხანაგობას სესხად შეუძლიან გაიტანოს ორასი თუმანი. ამხანაგობის მოქმედების რაიონი: კავთისხევი, ჩიკაანთ-უბანი, თვალადი, წინარეხი, ჩოჩეთი და იდლეთია.

✦ **ობოლთა სასამართლო.** ამ დღეებში ქალაქის გამგეობამ მოწვეულ პირთა თანადასწრებით მსჯელობა იქონია ობოლთა სასამართლოს წევრთა და მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე. როგორც შარშან ამორჩეულმა კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ხმოსანი ს. ჭრელაშვილი, ისე შეერთებულმა კრებამ საჭიროდ იცნო მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესება. ძხოლოდ რამდენი მომატოთ, ეს საკითხი გადაუწყვეტავი დარჩა, რადგანაც ვაჭრებისა, მდაბიო ძოქალაქეთა და ხელოსნების ძოურავებს ჯერ არ უცნობებიათ, რადგან ხარჯი შეუძლიანთ გაიღონ ამ აზრის განსახორციელებლად.

✦ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა** 19 იანვარს სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტორის გამგე დ. ვ. ბეზობრაზოვი

✦ **პ. ნ. საკოვნინი,** ვიცე-დირექტორი მიწად-ძოქმედების დეპარტამენტისა, ტფილისში ჩამოვიდა და თვეზე მეტს დარჩება, მის ჩამოსვლას კავშირი აქვს კავკასიის სააბრეშუმო სადგურის რეორგანიზაციასთან.

✦ **სახალხო განათლების სამინისტრო** კავკასიის სამოსწავლო ოლქის ძხრუნველს შეეკითხა. რა ცვლილებათა ძეტანა არის საჭირო დაბალ სასწავლებლებთან არსებულ ბიბლიოთეკებშიო.

✦ 1911 წლის 15 დეკემბრიდან 1912 წ. პირველ იანვრამდინ ქალაქის სასარგებლოდ აუკრეფიათ **დარჩენილი გადასახადი**: დასაფასებელი 22,366 მან. 37 კაპ. ცენისა-9 მან. 44 კაპ. ასაკრებია კიდევ 4,624 მან. 63 კ. დასაფასებელი გადასახადი.

✦ **ლოტო.** გუბერნატორმა შემდეგი წესი დაადგინა ლოტოს სათამაშოდ: 1) ლოტოს სათამაშო დარბაზის ამორჩევა კლუბის მამასახლისთა საქმეა, 2) ლოტოს თამაშობისა და საერთოდ კლუბში შესვლის უფლება არა აქვთ ძკირეწლოვანთ, მოსწავლეთა და დაბალ ჯარის კაცებს, 3) ლოტოს თამაშობა აუცილებლად ღამის 3 საათამდე უნდა დასრულდეს 4) თითო ქაღალდის ფასი მანეთზე ძეტი არ უნდა იყოს, 5) ქაღალდის უნდა გაიყიდოს ძხოლოდ ორჯერ სათამაშოდ, 6) უნდა გაიყიდოს ქაღალდი არა უმეტეს 300 ცალისა; თუ ქაღალდი 25 კაპ. ღირს, მაშინ 500 ცალი ქაღალის გაყიდვა შეიძლება, 7) ნომრების ამოსაღებად საგანგებო მანქანა უნდა იყოს დადგმული, 8) შემოსულ ფულს 15% უნდა გამოაკლდეს; 12% კლუბის სასარგებლოდ უნდა გადაიდოს, ხოლო 3% საქველმოქმედო დაწესებულებათათვის (ეს 3% უნდა გაანაწილონ კლუბის მამასახლისთა ორ-ორ წარმომადგენელთა საერთო კრებაზე, რომლის თავჯდომარედაც გუბერნატორი იქნება,) 9) შემოდებულ უნდა იყოს საგანგებო წიგნი, სადაც ჩაიწერება: რამდენი ქაღალდი გაიყიდა, რამდენი შემოვიდა და სხვა, 10) მამასახლისთა საბჭო მოვალეა, ეს წესები სავსებით შეასრულოს, 11) გუბერნატორსა და პოლიცმეისტერს შეუძლიანთ როცა უნდათ, წიგნები შეამოწმონ 12) ეს წესები ძალაში შედიან (ტფილისში) 1912 წლის პირველს თებერვალს და სხვა წესები, რომელნიც მანამდე იყვნენ, ძალას ჰკარგავენ.

✦ 19 იანვარს ტფილისში 52 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ ყიფიანის ქუჩაზე სახლში № 12 მცხოვრები გერში არონის ძე კრასნერი 18 იანვარს თავისი ცოლით სხვასთან სტუმრად წავიდა. როდესაც დაბრუნდნენ, მოსამსახურე ქალი მარიამ ივანეს ასული თეასამიძე, რომელსაც პასპორტი არა ჰქონდა და მოსამსახურედ 5 იანვარს დადგა მასთან, სახლში აღარ დახვდათ. კრასნერის სიტყვით, მოსამსახურეს ჰქონდა: ნაღდ ფულად და 44 მან. ნივთები მოუპარავს.

✦ 19 იანვარს, სალდათის ბაზარზე შეიპყრეს არშაკ ბაღაიანი და გიორგი ბეჟანოვი, რომელთაც სამ მანეთად ღირებული საათი (ლითონისა) ოქროს საათად მიჰყიდეს 40 მან. ძოვეე დავიდოვსა. შეპყრობილთ 25 მან. აღმოაჩნდათ.

✦ შეიპყრეს ნიკოლოზ ალექსის ძე ალიმბარაშვილი, იასონ ნესტორის ძე კაციტაძე, შაქრო (იგივე ალექსანდრე) ალექსანდრეს ძე ასლამაზოვი, აფრასიონ მეთოდეს ძე კაციტაძე და ბაკო ზაქარიას ასული ზაქარიაშვილი, რომელთაც 13 იანვარს ნეფარიძის ფულისა და ნივთების მოპარვა ბრალდებათ. დანაშაულში გამოტყდნენ.

✦ შეიპყრეს დავით მათეს ძე მალეროვი, რომელიც შულავერში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იყო გაგზავნილი და ტფილისში თავის ნებით დაბრუნდა.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ავლაბრის საზოგადო კლუბის წევრთა კრება 19 იანვარს მოხდა.** 1911 წელს კლუბს 26,724 მან. შემოსავალი ჰქონია, ხოლო ხარჯი—21,217 მან. 17 კაპ. წმინდა მოგება 5.507 მან. 2 კ. დარჩენია. კრებამ მოგება ასე გაიანაწილა: 1000 მან.—ავლაბარში განზრახულ საქალებო გიმნაზიისთვის, 500 მან.—ავლაბრის საარეველო სკოლებისა და სასულიერო-განმანათლებელ დაწესებულებათათვის, 2.500 მან.—კლუბის სახაფხულო შენობის გასაფართოვებლად და 1,300 მან.—ბიბლიოთეკის ძოსაწყობად. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა ძიმდინარე წლისა: 21,330 მან. (შემოსავალი) და 18,807 მ. 75 კ. (ხარჯი). ძამასახლისებად ისევ ძველნი დარჩნენ.

✦ **სახლის პატრონთა და სახლის დამქირავებელთა საზოგადოების** კრება 29 იანვრისთვის. დაინიშნა საზოგადოების წესდების განსახილველად.

სასამართლო

✦ **რედაქტორის საქმე.** 19 იანვარს წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით ტფ. სამოსამართლო პალატამ აწ დახურულ ქართულ გაზეთის „ახალი საქმეს“ რედაქტორის გიორგი ჯაქვაძის საქმე გაარჩია. საძართალში მიცემული იყო მე-129 მუხლის ძალით. შარშან პალატამ ჯაქვაძეს ექვსის თვის ციხე მიუსაჯა, მაგრამ პროკურორის პროტესტის გამო სენატმა საქმე ისევ პალატაში დააბრუნა ხელმეორედ გასარჩევად. 19 იანვარს პალატამ გ. ჯაქვაძეს ერთის წლის ციხე გადაუწყვიტა. გაზეთი „ახალი საქმე“ საუდამოდ უნდა დაიხუროს. ბრალდებულს სასჯელში ჩაეთვლება რვა თვის ციხეში ჯდომა.

✦ **პოლიტიკური საქმე.** 19 იანვარს ტფ. სამოსამართლო პალატამ ნაფიც ვექილის თანაშემწის გიორგი გორდეზიანის საქმე გაარჩია. სამართალში მიცემული იყო სისხლის სამართლის მე-129 მუხლის ძალით. პალატამ, რომელმაც საქმე ხალხის დაუსწრებლად და წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გაარჩია, ბ-ნი გორდეზიანი უდანაშაულოდ იცნო და სრულიად გაამართლა. ბრალდებულს იცავდნენ: ნაფ. ვექილი გ. ბ. გვაზავა და ნაფ. ვექილის თანაშემწე შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი.

✦ **„ზაკავკაზსკაია რეჩ“ის რედაქტორის თავ. გ. ი. ფალავანდიშვილის საქმე** ტფ. სამოსამართლო პალატამ გუშინ გაარჩია წოდებათა წარძომადგენლების ძონაწილეობით და გარეშე ხალხის დაუსწრებლად.. ოედაქტორი ძეთაურ წერილის დაბეჭდვისათვის საძართალში ძიცემული იყო ძე-129 მუხლის ძალით. პალატამ ბრალდებული დამნაშავედ იცნო და ერთის წლის ციხე გადაუწყვიტა. იცავდა ნაფიცი ვექილი ა. ი. ყანჩელი.

სომხური ცხოვრებიდან

✦ **სომხურ საეეურნეო საზოგადოებას** გაეზრახული აქვს, ოიძ ფულით, როძელსაც პეტერბურგის საეკლესიო საბჭო აძლევს, ხაფხულში საეეურნეო კურსები ძოაწყოს ძასწავლებელთათვის და 5 6 საცდელი ძიხდორი მოაწყოს. ამავე საზოგადოებას განზრახვა აქვს, საეეურნეო სურათებიანი წიგნაკები გაძოსცეს ქ-ნ არათიანისა და ბ-ნთ გუკასოვისა, ვ. თაიროვისა და სხვებისგან ძეწერილ ფულით.

✦ **სომეხთა საეკლესიო-მოკეთედო საზოგადოების** საბჭოძ დაადგინა, საწევრო ფული (5 მან.) შეაეციროს. საგუბერნიო ქალაქების ძცხოვრებლეთმა წელიწადში 5 მან. უნდა გადაიხადონ, პროვინციის ქალაქებისაძ—სამ-სამი მანეთი, ხოლო სოფლელებმა—ორ-ორი მანეთი.

✦ **სომხური გაზეთი „მამული“** (პრესა), როძლის პირველი ნომეროიც აღკრძალეს და რომელიც დღემდე აღარ გაძოდის, პირველ თებერვლიდან კვლავ გამოვა ახალ რედაქციით.

ქუთაისი.

✦ 16 იანვარს ქალაქის საქიძიო ლაბორატორიის აგენტმა მწვანე ბაზარში დაიჭირა ორი სომეხი, როძლებიც კალათებით კარაქსა ჰყიდდნენ: ძიიყვანეს ლაბორატორიაში. იქ კალათებით კარაქი დაატოვინეს გასასინჯად. ერთ საათს შეძდეგ ეს კალათები კარაქით და მათი პატრონებიც სადღაც გაქრნენ.

✦ 13 იანვარს საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე „ფონის“ ნარედაქტორალ გ. გიორგაძისა, როძელსაც ბრალს სდებდნენ კანონთა 1039 მუხლის ძალით. გ. გიორგაძე გაამართლეს.

✦ ორშაბათიდან საოლქო სასამართლომ დაიწყო გარჩევა ყალბი ფულის მკრელთა ბათომძის ორგანიზაციის საქმე; პასუხის გებაშია მიცემული: ი. ლიტვანი, იაგორ შმეტაუ, ექვთიმე ახობაძე, ივანე ხურცილავა, ალექსანდრე გაგუა, ფილიპე გიორგაძე, ეგნატე ბაკულინი, ყარამან გუბერიძე, სამსონ მარჯანიშვილი, ერძალო გოგიბერიძე, იოსებ ქინქლაძე, პავლე გალდავაძე, სიმონ ხაინდრავა, ვასილ პოდკოვიროვი, ივანე ნინეშვილი, ივანე ივანეს ძე ივანეტაძე, ილარიონ ბანკოვსკი, ეიხეიდ ტრუაშვილი, ალექსი მოსიძე, სიმონ ხაინდრავა; შვიდი უკანასკნელი თავდებობით იყო განთავისუფლებული და საქმის გარჩევის დაწყებისას დაეპატიმრეს. ამ საქმეზე დაბარებულია 175 მოწმე.

✦ ჭიათურის შავიქვის საჭოს საავადმყოფოში 1911 წელს შემოსულა მწოლიარე ავადმყოფთაგან 4607 მან. 75 კ. ამბულატორულ ავადჭყოფებთაგან 1441.

✦ ასტრახანში გადასახლებულ ნიკო ჯაფარიძისათვის სამშობლოში დროებით ჩამოსვლის უფლება მიუციათ.

ბათომი.

✦ **უმაღლესი ჯილდო.** ქალაქის საბჭოს ხმოსახს ნ. ა. საბაევს უმაღლესად ებოძა ოქროს მენდალი.

✦ **შავი ქვის გადატანა.** წარსულ წლის დეკემბერს ბათომიდან გაუტანიათ 495,740 ფუთი ჭიათურის შავი-ქვა და ფოთიდან 1,238,549 ფუთი.

✦ **ახალი ჟურნალი.** ერთს ჯგუფს განუზრახავს ბათომში გამოსცეს ყოველ - კვირეული იუმორისტული ჟურნალი ქართულს ენაზე.

✦ **ახალი გაზეთი.** კაპიტალისტთა ერთ ჯგუფს, ვ. გ. გოცირიძის მეთაურობით, აზრად აქვთ ქუთაისში გამოსცენ რუსულ-ქართულ ენებზე გაზეთი.

ბაქო.

✦ დღეს, 21 იანვარს, ბაქოში გაიმართება **ჩვეულებრივი ქართული სალამო.** როგორც გვატყობინებენ, სალამო გაიმართება შემდეგის პროგრამით: 1, ვოდევილი „დრამატიულ გამგეობის წევრი“; 2, საკონცერტო გახყოფილება ქ. თარხნიშვილის და ივ. სარაჯიშვილის მონაწილეობით; 3, ძომღერალთა გუნდი ბ-ნ ჩაგუნავას ლოტბარობით შეასრულეს რამდენსამე სიმღერას, დეკლამაცია რუსულ ენაზე ქართულ პოეტებისა. დაკვრა სკრიპკაზე და დასასრულ ჩვეულებრივი გლეხური თამაში გუნდის სიმღერით და ლეკური დუდუკზე. ეს საღამო უმთავრესი წყაროა ადგილობრივ ქართულ კულტურულ დაწესებულებებისა.

ქაქაკი.

✦ თერგის ოლქოს **სახალხო სკოლების დირექტორი ლევიცკი** სამსახურს თავს ანებებს. მისი თანამდებობა ჯერ-ჯერობით მინდობილი აქვს სახალხო სკოლების ინსპექტორს **სოროკინს.**

✦ კავკაზში შესდგა ჯგუფი, როძელიც **სახლების მშენებელ ამხანაგობას აწყობს.**

✦ **ბელგიის უსახელო საზოგადოებას ნება** დართეს, კავკაზში ტრამვაის ლიანდაგი გაიყვანოს, თერგის მარცხენა მხარეს, ტფილისის ქუჩიდან კადეტთა კოპუსამდე.

პრესტიკა და ბიბლიოგრაფია

(დასასრული*)

გრ. ხანძთლის ცხოვრებამ პირველად ცხად ჰყო, რომ ქართველები ძველად -ახლო ურთიერთობაში ყოფილან სომხებთან ეკლესიაშიაც. კავშირი შეუსუსტებიათ მხოლოდ მის ერთ ნაწილთან, რომელიც ყოფილა სხვაფრივ აღმსარებელი. ხოლო რაც შეეხება ერთნაირად აღმსარებლებს, ქალკედონიტელ სომხებს, ქართველებს მათთან ჰქონიათ გულითადი მეგობრობა და უახლოესი ურთიერთობა, რომელიც დაბოლოებულა ასეთი სომხების ქართველებთან თანდათან სრულის შეერთებით ისე რომ გვარტომობაც კი დაჰკარგვიათ. **გრ. ხანძთლის ცხოვრება** ცხადს ჰყოფს, რა პატივის ცემას განაგრძობდნენ ქართველები ნერსეს სომეხთ კათოლიკოსისას და რა მოწიწებით იგონებდნენ მის აღმაშენებლობას, უეჭველია, ამ პატრიარქის ქალკედონიტური შეხედულების წყალობით.

იმავ **ცხოვრებით** ოპიზას გარდა ცხოვრებდნენ კიდევ აქა-იქ განდეგილები მღვიმეებში, როგორც **ხანძთას მარტო მყოფი კაცი მართალი და წმიდა „,რომლისა სახელი კვედიოს,** მაგრამ მთელი რიგობა ადგილებისა, როგორც მიჯნაძორი, შატბერდი და სხვა საძაგლად აოხრებულია—და მხოლოდ სომხური სახელწოდებით ჰმოწმობდა იმას, რომ კეთილ დღეობა ჰქონია ქვეყანას, როცა კულტურებრივი ბატონობა შესაბამი ხალხისა ყოფილა.

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 504.

სხვა წყაროები პირდაპირ ამტკიცებს, რომ სომეხთ მოსახლობა იგი იყო ქალკედონიტებისა და ქართველთ სავანეთა აგებამდე დიდხანს XI საუკუნის დასასრულამდე ჯერ კიდევ დაცული ჰქონდა პარალელად ქართულთან სამშობლო სომხური ენაც, საითგანაც ადგილობრივ ქართულ ლაპარაკში და ადგილობრივ ქართულ მწერლობაში ბუნებრივად შედიოდა ლექსიკური და სხვა არმენიზმი (§ 13).

თვით **ცხოვრებაშიაც** არის კილოკავად თქმული, რომ ქართული ენა კლარჯეთში ყოფილა მხოლოდ საეკლესიო და არა სალაპარაკო ენად მრთლად ხალხისა შუა X საუკუნეშიაც კი, როცა გიორგი მერჩული მწერლობდა (§ 14).

თუ ქართული ენა ადგილობრივ სალაპარაკო არ იყო, როგორ მოხდა, რომ შიგ შევიდა სომხური სიტყვები და იმათი საქცევები? „ან როდის შეიქმნა ქართული კლარჯეთისათვის სალაპარაკო ენა? ქართლის მაზრა არ იყო და ნიშნავდა სრულიად საქართველოს მისი კულტურით, პოლიტიკითაო, გვაუწყებს ნ. მარი და მოჰყავს თვით გიორგი მერჩულის სიტყვები: **„არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირიცხებინ, რომელსაც შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულებინ“.**

ქვეყნის მკვიდრი ხალხი არა თუ ერობრივ, სარწმუნოებრივათაც-კი არ წარმოადგენდა ერთ გვარ მასა-

საო. ქალკედონიტური მართლმადიდებლობა ყოველ ღონეს ჰხმარობდა „მწვალებელთა წინააღმდეგ, ხელში არ ჩავარდნოდათ ისეთი დიდ მნიშვნელობიანი საეპისკოპოსო საყდარი, როგორიც იყო ანჩისაო.

თუ იმ დროს კლარჯეთის ხალხი ერთგვარ მასას არ წარმოადგენდა, მაშასადამე, მისი შემავალი ქართველობაც იქმნებოდა „„მწვალებლებს“, ე. ი. ძველი წესის სომხებს შერჩათ სომხური ენა, ქალკედონიტებს, ე. ი. მართლმადიდებელ სომხებს-კი დაეკარგათ და გაქართველდნენო. მაშ როგორ გაქართველდებოდნენ, თუ ადგილობრივ ქართველობა არ ყოფილიყო, სალაპარაკო ენადაც ქართული არ ჰქონოდათ?

ნ. მარის თქმით, ოპიზაში ქართველებმა ააშენეს და შეაკეთეს ტაძრები და სხვა შენობანი მონასტრისა. აქაც, როგორც ტაოკლარჯეთის სხვა ადგილებშიაც, ქართველებმა დაიჭირეს მიტოვებული ეკლესია, აგიოგრაფის არ იყვეს, ჰპოეს ოპიზაში პატარა ეკლესია იოანე ნათლისმცემლისა, სადაც პირველი დაარსეს ქართველთ ძმობა, რომელმაც სამიოდე წინამძღვარი გამოიცვალა გრ. ხანძთელამდე, მაშასადამე შვიდას ორმოცდა ათიოდე წელსა. სჩანს, პირველ ქართველ ძმათა მონასტრის ახალშენი კლარჯეთში დაარსდა სომეხ ძმათა სრულიად ახალ ნაქცევებზე, რათგანაც ცეცხლსა და მახვილს მისცეს ქვეყანა ჰიშამ ხალიფის დროსა 730, თუ 731 წ., ზედვე დაერთო ხოროველაც.

ოპიზას პირველი დამაარსებელნი იყვნენ თუბალკაინები, სახელდობრ ან ივერნი (მეგრელები), ან ჭანები (ლაზები). ოპიზა, უფრო სწორეა ოპ ჯა—თუბალ კაინური ფორმაა სიტყვისა, რომელიც ეწერის **საპირე** ქართულ სიტყვას და ნიშნავს **ნაპირის ადგილს, სანაპიროს** (მდ. იმერხევისა), ან **შესართავის ადგილს,** რომლის ძირში გაშენებულია სოფელი. მაგრამ მონასტერში ქართველებს წინაუძღოდნენ ალბად, არა თუბალკაინები, არამედ სომხები, რომელთაც ეგრეთვე შეეძლოთ დაეცვათ უმანდელი თუბალკაინური სახელწოდებანი, როგორც შემდეგ სომხური სახელწოდებანი შატბერდის, მიჯნაძორის და სხვა მაზრებისა დაიცვეს ქართველებმა, რომელთაც სომხები ინაცვლეს (§ 19).

თუ სომხებამდე ტაოკლარჯეთში თუბალკაინები იყვნენ, ე. ი. მეგრელ-ჭანები, სასურველია, ვიცოდეთ, მათი სასულიერო და საკულტურო ცხოვრება ქართული იყო, თუ არა? რომელ საუკუნეში ინაცვლეს სომხებმა თუბალკაინები ტაოკლარჯეთში, ან თუ ჰქონიათ ამათ თავიანთებური ასეთი ცხოვრება, როგორი ყოფილა მაინც?

ყოველ შემთხვევაშიო, იტყვის დასასრულ ნ. მარი, ის ქვეყანა, სადაც გიორგი მერჩული ადგილობრივი ქართველი განათლებული მწერალია შუა მეათე საუკუნისა, ღირსია შემდეგაც შესწავლილ იქმნეს უკედ მოწყობილი სამეკნიერო ძალითაც, ნივთიერის ღონისძიებითაც. რასაც სომხეთის ისტორიისათვის წარმოადგენს ანის ნაქალაქევი, უმეტეს ხარისხადვე ჩასათვლელია ტაოკლარჯეთის ნაქცევ-ნანგრევები საქართველოს საპოლიტიკო და განსაკუთრებით საკულტურო ისტორიისთვის. ტაოკლარჯეთის სიძველე ისე თვალსაჩინოდ არა ძევს ხელის გულზე, როგორც ანისა, მაგრამ არქეოლოგიური გული ტაოკლარჯეთისა კადაუშლის კაცს მასალას არა თუ ქართველთა კოლონიზაციის, ანუ სომეხთა წინათ ყოფილი მოსახლობის და უგვიანეს VI საუკუნეში თუბალკაინთა, სახელდობრ ლაზთა, სახელმწიფოებრიობის ეპოქისათვის, არამედ ესრედ წოდებული ისტორიის წინა ეპოქისას, ივერჭანთა არხაიკურის ეპოქისას, შეერთებულად თუბალკაინთა და ქალიბთა მეტალურგიის განვითარებასთანაც, კოლხთა ძლიერებასთანაც, რამაც საზრდო მისცა ოქროვანი საწმიხის თქმულებას (§ 24).

ზემო მოყვანილი მოსაზრება ჩვენი მეცნიერი მამულიშვილის ნ. მარისა მხოლოდ ნაწილია დახასიათებისა, რაც ძეგლის განსახილველად დაუწერია. ეს მოსაზრება შეეხება ქართველ სომეხთა საკულტურო ურთიერთობის ისტორიას. ამ მხრით როგორც ახალი საგანი, საინტერესოდ მივიჩნიეთ ჯ მივაწოდეთ სახალხო გაზეთის მკითხველებს. **ძეგლის დახასიათებას** მოსდევს **ლიტერატურა გრ. ხანძთელისათვის, ტექსტის კრიტიკა** და **ძირითადი და ნასესხები, იშვიათად, ან განსაკუთრებულის მნიშვნელობით ხმარებული სიტყვების ხთა, მერმეა თვით ქართული ტექსტი** რუს **თარგმანითა და დასასრულ ღღიური შავშეთ კლარჯეთში მგზავრობისა.**

სიტყვების სიაში საინტერესო ის არის, რომ თუ რომელიმე სიტყვა ნასესხებია, მოყვანილია იმდროსვე ფორმაც იმ ენისა, საითგანაც უნდა შემოსულიყვეს, როგორც მაგ. **ოხჰანი** (სომ. ვახჰან), **ჰასაკი** (სომ. ჰასაკ) და სხვ. მაგრამ საკითხავია, **აგარაკი, ახოვანი, ერი, ვანი, კუკული, პატივი, დასი** და სხვა რად უნდა იყვეს სომხურითგან ქართულში შემოსული და არა იმავე დროს ქართულ სომხური, ზოგჯერ საერთო ძირის წარმომადგენელი ზოგჯერაც მართლა ნასესხები უცხო რამ ენითგან.

რამდენადაც ვიცით, **აგარაკი** კნინებითი სახეა **აგარისა,** რომელიც ენათესავება **აგერ** ლათინურ სიტყვას, **ველის, მინდვრის** აღმნიშვნელსა. სომხურში მხოლოდ კნინებითად იხმარება ქართულში კი ორთავ სახედ **აგარი, აგარაკი.** რომელი საუკუნის სომხურ ხელთ ნაწერშია პირველად ხმარებული **აგარაკ,** ან როდინდელია ქართული ხელთნაწერი, სადაც იპოვება **აგარაკი?** ვსთქვათ, სომხური **აგარაკ** იპოვება უფრო ძველ ხელთ ნაწერში. განა ის უნდა დავასკვნათ, რომ ქართული **აგარი, აგარაკი** ნასესხებია, ისიც სომხურითგან? რამდენია ბერძნულ ლათინური ძირი ქართულში, რომ სომხურიდან კი არა, ბერძნულ ლათინურითგანაც არ ჩაითვლება ნასესხებად, აი თუნდა მაგალითებიც: **მასპინძელი**—ლათ. **ჰოსპიტ,** ძირი **ჰოსპეს** სიტყვისა; **ორძვა, ორძინი,** მეგრ. **ორტვინი**—ლათ. **ჰორტუს,** ბაღი; **დღე**—ლათ. **დიეს;** **ხელი**—ბერძ. **ხეირ;** **წენი**—ბერძ. **ძონე** და სხვა.

✦ ფოსტა-ტელეგრაფის ახალი სადგომი ქალაქის გამგეობამ 1913 წლის 16 აპრილამდე უნდა ააშენოს, ქალაქის შუაგულში. ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-სამმართველოს მოთხოვნილებით, საამისოდ საჭიროა 400 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა. შენობა ორთქლით უნდა თბებოდეს. შენობის აგება შეიძლება იჯარით გაიცეს მხოლოდ 12 წლის ვადით და წელიწადში უნდა იხადონ არა უმეტეს შვიდასი თუმნისა.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

პეტერბურგი.

ეპისკოპოსის გერმოგენის საქმემ დიდი აურ-ზაური გამოიწვია. გერმოგენმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და უწმ. სინოდსა სთხოვა, განკურნებამდე პეტერბურგში დამტოვეთო. სინოდმა ცივი უარი უთხრა, უმაღლეს ბრძანებას ვერ დავარღვევთო.

პეტერბურგი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ბერ-მონაზონი ილიოდორე სადღაც მიიმალა. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით მთელი ჟანდარმერია და დამცველი პოლიცია ფეხზე დადგა. ნაბრძანებია ილიოდორე სძებნონ მატარებლების ვაგონებში. ვინც ილიოდორეს შეიპყრობს, ფულით დააჯილდოვებენ.

ჟურნალისტის დღიური

53.

სწორედ უცნაური ქალაქია ქუთაისი! შორიდან მაყურებელი გაოცებული რჩება, როდესაც ქუთაისში გაჩაღებულ პარტიათა ბრძოლას შესცქერის. ჰფეთქავს თვითოეული ძარღვი ქუთაისისა, დიდი მითქმა-მოთქმა მზადება, დარაზმვა, შეტაკება და ბოლოს... ხელში გვრჩება საანის ბურთი, რომელიც ხელის პირველსავე შეხებისაგან სკდება. სწორედ ასეთი ბედი ეწვია ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა უკანასკნელ კრებას. საგანგებო კრება მოიწვიეს, ალბად, საგანგებო საკითხების განსახილველად; შეიკრიბნენ პარტიები, ერთმანეთს დაეტაკნენ, ამოირჩიეს თავმჯდომარედ დავით ნიჟარაძე, რომელმაც, ცოტა არ იყოს, აძაყად დაილაპარაკა ნდობაზე და ბოლოს გადასწყვიტეს, სასწრაფო საქმეები არა ყოფილა და სჯობს დავიშალნეთო.

სთქვეს და კიდეც აასრულეს სიტყვა.

ერთის შეხედვით გასაკვირველი აქ არაფერია, მაგრამ თუ ცოტა ღრმად ჩაუკვირდებით საქმეს, ძალიან სასაცილო სურათი გადაიშლება თქვენს თვალ-წინ.

უპირველესად ყოვლისა თქვენთვის ცხადი გახდება, რომ ბანკის გარშემო შექმნილ ჯგუფებს არავითარი საზოგადო სახელმძღვანელო პრინციპი არ აერთებს. მოქმედებენ ისე, როგორც მოჰხვდებათ, ან როგორც რამდენიმე გავლენიანს, მაგრამ პირადად დაინტერესებულ პირს მოსურვება. კრიტიკა საზოგადოებრივი ხასიათისა არსადა სჩანს. ვერა ვხედავთ ისეთს საერთო პროგრამასაც, რომლის გარშემოც გროვდებოდეს ჯგუფი. დაკვირდით უკანასკნელ ნეტარ-ხსენებულ კრებასაც, დააფასეთ იგი, როგორც არა დაინტერესებულმა, გარეშე მაყურებელმა. რამდენიძე პირის ინიციატივით მოწვეულ იქმნა კრება, მაშასადამე, ყოფილა ჯგუფი, რომელსაც არ მოსწონდა ბანკის ხელმძღვანელთა მოქმედება. ამ ჯგუფმა თავმჯდომარედ აირჩია დავით ნიჟარაძე, მაშასადამე, იმ კრებაზე ჯგუფს გავლენა ჰქონია. ამის შემდეგ ყველა დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ ჯგუფი, რომელმაც არა ჩვეულებრივი კრება მოიწვია, რაღაც არა ჩვეულებრივ საკითხების განსახილველად; საკმაოდ მომზადებული იქნებოდა და კიდეც გაიყვანდა თავისას, მით უფრო, რომ უმრავლესობა იმის ხელში ყოფილა, რაც თავმჯდომარის არჩევნებში გაძიისახა. მიუხედავად ამისა, მეორე ჯგუფის ორატორთა რამდენიმე დასაბუთებული სიტყვა საკმარისი გახდა, რომ კრებას ხმათა დიდის უმეტესობით გადაეწყვიტა, კაცმა რომ სთქვას; საჩქარო არაფერია, სჯობს სახლში წავიდეთო. ამათ კრება ადასტურებს იმათ აზრს, ვის წინააღმდეგაც თავმჯდომარედ დავით ნიჟარაძე აირჩიეს. გაგვაგებინეთ, სად არის აქ აზრი, ლოგიკა? რას ფიქრობდა ის დაძსწრე კრებისა, რომელიც ჯერ დავით ნიჟარაძეს აძლევდა ხმას და ამით გამოსთქვამდა თავის სოლიდარობას კრების მომწვეთა ინიციატორებთან და მერე კი მხარს აძლევდა მოწინააღმდეგეებს, რომელნიც ამბობდნენ, კრებას ტყუილად იწვევთ, განსახილველი არაფერიაო. ნუ თუ კრებაზე დაძსწრეთ წინდაწინვე არ უნდა ჰქონდეთ გამორკვეული, ვინ იწვევს კრებას, რა მიზნით იწვევენ, რა ღირებულება, რა საზოგადოებრივი ფასი აქვს დაწყებულ კამპანიას.

ამისთანა რამეებზე ბანკობიით გატაცებული ქუთათურები, ძალიან ნაკლებად ფიქრობენ. ეს რომ ასე არა ყოფილიყო, კრების მოწვევის ინიციატორთ ან ბოლომდე უნდა მიეყვანათ საქმე და ან კიდევ დავით ნიჟარაძე არ უნდა ყოფილიყო არჩეული თავმჯდომარედ. სწორედ სასაცილო მდგომარეობაა, რომ ქრონიკული გამომჟღავნება ამ სასაცილო მდგომარეობისა სატირელი არ იყოს. ქუთათურები რომ მეტის შეგნებით ეკიდებოდნენ საქმეს, ასეთს სასაცილო მდგომარეობაშიაც არ ჩავარდებოდნენ. **შინაური.**

საადგილ-მამულო განკის გარშემო.

ქუთაისი.

გათავდა საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება. მთელმა კრებამ, გარდა 2—3 კაცისა, სთქვა, რომ კრების მოწვევას არ საჭიროებდა საქმის გარემოება და პროგრამაში მოთავსებული კითხვები ისეთებია, რომ საქმის უვნებლად მათი განხილვა ჩვეულებრივ კრებაზედაც შეიძლება განიხილოს კაცმაო. ნუ გაუკვირდება მკითხველს, რომ ასეთი აზრი გამოსთქვეს იმათ, რომელნიც კრების მოწვევის წინააღმდეგნი იყვნენ და იმათაც კი, რომელთაც კრების მოწვევის წინადადებაზე ხელი ჰქონდათ მოწერილი. ბ-ნი დიდიმ ჩიკვაიძე კერძო ლაპარაკში და საერთო კრებაზე გულზე ხელის დადებით არწმუნებდა ყველას, რომ კრების მოწვევა ჩემი საქმე კი არ არის, რწმუნებულთა დიდი რიცხვის სურვილიაო და როცა საქმე საქმეზე მიდგა ეს „დიდი რიცხვი“ ორი-სამი კაცით განისაზღვრა. ამ ორ-სამ კაცში ერია თვით უებრო დიდიმი და მისი ამხანაგი ილ. მესხი. სხვებმა კი ბ-ნ დიდიმს უღალატეს.

ამნაირად სწორედ იმათ, რომელთაც კრების მოწვევის წინადადებაზე ხელი მოაწერეს, უარი ჰყვეს კრების საჭიროება. კაცი არაფერს იტყოდა, რომ ხელის მომწერთა შორის არ იყვნენ თვალსაჩინო კაცები თავის მდგომარეობით, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ჩვენს საზოგადოებაში შენ-ჩემიანობას დიდი გასავალი აქვს და კარგად მოკვარახჭინებული თხოვნით ყველაფერს გააკეთებს კაცი.

— რას ვიზამდი, ხელს როგორ არ მოვაწერდი,— მითხრა ერთმა რწმუნებულმა,—როცა მითხრეს, რომ ამ თხოვნით ჩვენ ქართულ გიმნაზიას არსებობის საშუალება გვინდა მოვუპოვოთო.

— კი, მაგრამ, წაიკითხავდი შე დალოცვილო და ისე მოაწერდი ხელს.

— ეგ ადვილი სათქმელია: მოდის პატივსაცემი კაცი, განცხადებაზე ხელის მოწერასა გთხოვს და თან გეუბნება, გიმნაზიის კეთილდღეობაზეა ლაპარაკიო; მოდი და ნუ დაუდაუჯებ—ეს ხომ მისი პირადი შეურაცჰყოფა იქნება.

ასე სჯის არა თუ შეუგნებელი კაცები, არამედ ისეთნი, რომელთაც თავი საზოგადო მოღვაწედ მოაქვთო.

— ღამე კარგა გადასული იყო,— სთქვა მეორემ,—მოვიდნენ ჩემთან, გამაღვიძეს პატივცემულმა კაცებმა და მითხრეს ხელი მოგვიწერე ამ ქაღალდზე—საქმე ბანკის კეთილდღეობასა და ქართული გიმნაზიის არსებობას ეხებაო; როცა თვით განცხადების შინაარსის გაცნობა მოვინდომე, რუსულად დაწერილი ქაღალდი მაჩვენეს; მე რუსული ნაკლებად ვიცი და რაღა გაეწყობოდა—დავუჯერე. ეხლა, როცა საქმის ვითარებას გავეცან, ვხედავ, რომ შეცდომაში შემიყვანეს, მაგრამ რაღას გავაწყობ. ეს კია, რომ ამას იქით ვაგლახად ხელს ვერავინ მომაწერინებს ასეთ ქაღალდზე.

ასე სჯის უმრავლესობა, ხოლო უმცირესობა ბ-ნ დიდიმ ჩიკვაიძისა და ილია მესხის მეთაუროებით, კვლავ გაიძახის—ბანკი იღუპება, რადგან დიდიმ ჩიკვაიძე დამფასებლად არ აირჩიესო, ბანკი იღუპება, რადგან ზედამხედველ კომიტეტში დავით ნიჟარაძის მაგივრად გიორგი ზდანოვიჩი აირჩიესო, ბანკი იღუპება, რომ ისეთი გამოცდილი დამფასებელი გადააყენესო, როგორიც კოკინია დგებუაძეაო და სხვა და სხვა.—ამ აგიტაციას ბ-ნი დიდიმ ჩიკვაიძე, კარგად ვიცი, არ შესწყვეტს, მაგრამ სამწუხაროა ეს არ არის; სამწუხაროა და სავალალო ის არის, რომ ბ-ნ დიდიმის აგიტაციას გასავალი აქვს ბანკის მმართველ წრეებში და ეს არის, რომ ათამაშებს და ძალას აძლევს დიდიძის და მსგავსთა მისთა.

წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

პრემია **„გრდემლი“** დაურიგდება წლიურ ხელის მომწერთ 29, 30 და 31 იანვარს.

ტფილისში მცხოვრები წ. ხელ. მომწ. „გრდემლს“ მიიღებს გაზეთის დამტარებლის ხელით.

წ. ხელის მომწერნი, რომელნიც სცხოვრობენ: ქუთაისში, ბათომში, სოხუმში, ფოთში, გორში და თელავში—**„გრდემლს“** მიიღებენ ჩვენის აგენტებისაგან, რომელთა ვინაობაც პრემიის დარიგების დროს გამოცხადდება.

დანარჩენნი წლ. ხელ. მომწერნი პრემია „გრდემლს“ მიიღებენ ფოსტით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გასაგზავნი ხარჯი 30 კ. წარმოდგენილი იქნება არა უგვიანეს 29 იანვრისა (შეიძლება მარკებითაც).

შენიშვნა: წლიურ ხელის მომწერად ითვლება ის ვისაც წარმოდგენილი აქვს არა ნაკლებ 3 მან. და განცხადებული აქვს რომ გაზეთს წლიურად იწერს. დანარჩენი წლიური ფასი უნდა გადახდილ იქმნას იმ ვადებზე, როგორც გამოცხადებული იყო.

თვიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

რადგანაც ბევრი თვიური ხელის მომწერი აცხადებს სურვილს წლიურ ხელის მოწერისას, მათ საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ საჭიროა შემოტანილი ფული შევსებული იყოს 3 მანეთამდე მაინც და განცხადებულიც, რომ სურს წლიურ ხელის მომწერად გახდეს; დანარჩენი წლიური ფასი უნდა გადახდილ იქმნას იმ ვადებზე როგორიც გამოცხადებული გვქონდა.

(2 1) **„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.**

დაუფიქრდნენ ბ-ნი მომჩივანნი ამ გარემოებას, მიიღონ მხედველობაში ის გარემოება, რომ ბ-ნი დიდიმ ჩიკვაიძე არ ერიდება იმას, რომ სთქვას ბანკი დაიღუპება, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ იქნებაო და მაშინ მიხვდებიან, რომ ამისთანა კაცებთან ხელიხელ ჩაკიდებული მოღვაწეობა იმ საქმის ღალატია, რომელსაც ემსახურებიან.

* * *

დავით ნიჟარაძე გაიზარდა, მხნეობა მიეცა; მას ნდობა გამოუცხადეს გარდა თავად-აზნაურთა წრეებისა, ვაჭრებმაც, და ამიტომ ერთგვარ პრესაში აგიტაცია თ-დი ნიჟარაძის წინააღმდეგ ყოველ საფუძველს მოკლებულიაო.—ესა სთქვა თვით დ. ნიჟარაძემ და ამბობენ მისი ამხანაგები და დამქაშები.

ენა უძვლოაო,—ამბობს რუსული ანდაზა—და რასაც უნდა იმას ათქმევინებს კაციო. ეს ანდაზა სწორედ თ-დ დ. ნიჟარაძეზეა გამოჭრილი. ვინ მოახსენა, მას რომ იგი ვაჭრების ხმებით არის არჩეული, შემცდარია თ-დი დავითი. იგი არჩეულია **მის მიერ არჩეული რწმუნებულით** ქუთაისის მაზრაში და მესამე რიგის მესსხებელთა არჩეული რწმუნებულებით, საცა გარდა ინტელიგენციისა და ვაჭრებისა ყველაა. მაგრამ ასეთი განცხადება თ-დი ნიჟარაძისათვის საჭირო იყო ტაქტიკურის მოსაზრებით და საჭირო ჭეშმარიტებას მხარი აუქცია და დემაგოგიას მიჰმართა.

საზოგადოდ თ-დი დავითი დემაგოგობაში დახელოვნებული კაცია და შემთხვევას ისე არ გაუშვებს, რომ არ ისარგებლოს თავისის ნიჭით, უკვე დახურულ კრებაზე მან ისარგებლა შემთხვევით და ჩვეულებრივი გულზე ხელის ცემით წარმოსთქვა სიტყვა ამ თემაზე: ჩემი შენ გითხარ და გული მოგიკალო.

თუ ბანკის საქმეები წესიერად ვერ მიდისო, სთქვა მან,—ეს იმათი ბრალია, რომელნიც არაფერს ერიდებიან და მის მართველთა მოღვაწეობას და მის მდგომარეობას საქვეყნოდ აქიაქებენო; ეს მოქმედობს ბანკის კლიენტებსა და ბირჟაზეო და ამიტომ ბანკი წელის გამაგრების მაგივრად, უკან მიდისო.

ყველა მიჰხვდა რომ თ-დ ნიჟარაძეს მხედველობაში ჰყავდა ოპოზიცია, რომელიც ეს ერთი ხანია ფარფაშის ნებას აღარ აძლევს თ-დ ნიჟარაძეს, ხოლო ამის შედეგი ის არის, რომ თ-დი დავითი ისეთი თავისუფლებით ველარ სარგებლობს, როგორც წინად, როდესაც მარტო სურვილი უნდა გამოეცხადებინა და დიდის ბოდიშით მიართმევდნენ 10.000 მანეთს. ეხლა ამას ველარავინ გაჰბედავს და ეს არის, რომ სწყინს თ-დ დავითს და იმათ, ვინც ხელს ითბობდა ბანკზე.

რწმუნებული.

კიდევ 700 წლის ძალის მოგავალ იუბილეს გამო *)

(ხმა პროვინციიდან).

რომ ეს იუბილე მართლა **ეროვნული-ხალხური** დღესასწაული იყოს, ამ ოთხოდე თვის განმავლობაში ღირსეულად მომზადებას მისთვის ვერ მოვასწრობთ. ამასთანავე ყოველი ჩვენი ეროვნული სულის-კვეთება, სიხარულია იგი თუ სინანული, თითქმის მხოლოდ ტფილისში ან რომელიმე ცენტრში ხდება და პროვინცია კი, ე. ი. სოფლის ხალხი მოკლებულია იმ საშუალებას, რომ ისინც განიმსჭვალოს იმ სიხარულით ან სინანულით, რომელსაც განიცდის ხოლმე ცენტრი. ხშირად ხალხმა სრულებით არ იცის, რისთვის ან ვისთვის არის ესა თუ ის დღესასწაული, რომელსაც ჩვენი ინტელიგენცია იხდის ხოლმე. მაგალითისთვის შორს არ წავალთ. ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა სიკვდილმა მართლა რომ ეროვნული აღშფოთება გამოიწვია ჩვენში და აკი მეფურის ღირსებითაც დავასაფლავეთ იგი. მგლოვიარობა მოედო პროვინციასაც, მაგრამ ეს გლოვა მაინც იყო **ინტელიგენტური-ეროვნული,** რადგანაც ხალხმა თითქმის არ იცოდა, ვინ იყო ილია, ჩვენთვის. რად მოჰკლეს, ან რად იყო იგი ღირსი ისეთი დიადი გლოვისა. თუმცა ილიას ეგრედ წოდებული „დღენი“ ხშირად იმართება, მაგრამ ეს დღესასწაულები ან **სულ** არაფერს აძლევს ხალხს ილიას სახელის გასაცნობად და თუ ხან აძლევს რასმე—მხოლოდ ზერერეს. მინახავს ილიას „დღეს“ წარმოდგენილი „პატარა კახი“. დღეს განზრახულიუბილეს მიზანი ის უნდა იყოს, რომ ყოველი კუთხე ჩვენის ქვეყნისა განიმსჭვალოს, ერთადერთულად შაინკ, თამარ მეფის სახელის განდიდებით და მისი ხსოვნა— უკვდავი ყოს. თუ მართალს ამბობს ისტორიკოსი, რომ „დღესაც ერთნაირათ იდიდების თამარ დედოფალი (ფერი-ფადიშა) აჭარა-ლაზისტანსა, სომხით-სამცხესა, ქართლ-კახეთსა, იმერეთ-სამეგრელო-სვანეთსა, აფხაზეთს-ჩერქეზეთსა და ოსეთ-დაღესტანსა“, მაშ მოვახერხოთ ისე, რომ ხალხის შუაგულიდან ამოხეთქოს თამარისადმი უკვდავმა ხსოვნამ და თუ ვისმე არ ახსოვს ან ვინმემ არ იცის მისი ვინაობა, დაე, გაიგოს. ეს კი მოხერხდება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენი სოფლის ინტელიგენცია მოიწადინებს ამ დროისთვის ტფილისს კი არ მიაშუროს, არამედ ეხლავე შეუდგეს ადგილობრივ საამისო მზადებას. ჩვენის აზრით, ეხლავე უნდა მოიკრიბოს ადგილობრივი ინტელიგენტური ძალები ყოველი ჩვენი კუთხისა, იქნება იგი სამაზრო ქალაქი, დაბა თუ სოფელი, სადაც კი ცოტათი მაინც გამოსჭვივის განათლების შუქი. უნდა შესდგეს ყველგან საიუბილეო ჯგუფები, რომელთაც უნდა მოახერხონ დანიშნულ დროს ადგილობრივ ამ დღესასწაულს ღირსეულად და შინაარსიანად გადახდა. ამ შემთხვევაში დიდი უნარი და ღვაწლი უნდა დასდონ ჩვენმა ქალებმა, თუ უნდათ ღირსეულად ატარონ თამარის სახელი, რომელიც ძლიერ არის ჩვენში გავრცელებული. ჩვენმა ქალებმა ერთხელ მაინც უნდა დაგვიმტკიცონ, რომ მათში ჯერ სულ არ გამშრალა ის კეთილშობილური სისხლი, რომელიც სჩქეფდა ძველ ქართველთა დედის ძარღვებში და დაადასტუროს, რომ „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“-ო. **ძევერელი.**

ნინაოგა თელავში

(თელავის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის დღესასწაული).

ეს სასწავლებელი დღესასწაულობს წმ. ნინოობას—14 იანვარს, როცა ყოველთვის ჩვეულებრივი წლიური აქტი სალიტერატურო განყოფილებით იმართება ხოლმე.

დიდი ხანია შემთხვევა არ მომცემია, დავსწრებოდი ასეთ დილას და, სიმართლე უნდა ვთქვა. ნასიამოვნები დავბრუნდი სალიტერატურო განყოფილებიდან.

დღესასწაული დაიწყო პარაკლისით, რომლის წინ დღის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა მღ. მ. ელიზბარაშვილმა, გალობდა ამავე სასწავლებლის მოწაფე ქალთა გუნდი ქ-ნ ხელაშვილის ლოტბარობით.

პარაკლისის შემდეგ სასწ. ინსპექტორმა ბ. ნიკიტასკიმ წაიკითხა სასწავლებლის მოკლე ისტორია, აღნიშნა მისი გაფართოვება, 7-კლასიან გიმნაზიად გადაკეთება და სხვა.

შემდეგ დაიწყო სალიტერატურო განყოფილება. აღსანიშნავია მასწავლებელთან შრომა, რომელიც ეტყობოდა მოწაფეთა მომზადებას.

თითის ტოლა, უმცროს განყ. მოწაფე—**საყვარელიძემ** მეტად მკვირცხლად წაიკითხა ლექსი „გაზაფხული“, თამამად წაიკითხა აგრედვე პატარა მოსწავლე—**სოლოვიოვისამ** „მზე და მთვარე“, წაიკითხეს აგრედვე ისეთი სერიოზული ლექსები, როგორც ნადსონისა. მე-5 კლასის მოსწავლე ნ. ბარნოვისამ მშვენიერის ხმის შეწყობით და გამოთქმით წაიკითხა ბალმონტის „გედი“.

რუსულ ლექსების გარდა კითხულობდნენ ქართულს, ფრანგულს და სომხურ ენაზე: **ჩალატაშვილისამ** მოხდენილად წაიკითხა „საყვარელი სამშობლო“, დუტუ მეგრელისა; **ანდრონიკაშვილისამ** გრძნობით გადმოგვცა ი. ჭავჭავაძის „ალაზანი“, მეტად ნიჭიერად და კარგად წაიკითხეს შავლიევისამ, იმნაიშვილისამ და ტავაძისამ „ჩადრი“ ჰარტმანიდამ ქუჩუკაშვილის გადმოკეთებული და დამსწრეთაც მოეწონათ.

მომღერალთა გუნდმა რუსულ სიმღერების გარდა ორი ქართულიც შეასრულა, რამდენიმე მოსწავლემ პიანინოზედაც დაუკრა.

საზოგადოდ დილა შინაარსიანი იყო. საზოგადოება ბლომად დაეწსრო. სასწავლებლის ფართე დარბაზი ძლივს იტევდა სტუმრებს—იყვნენ მოწაფეთა მშობლებიც.

—

ასეთი დილის გამართვა ფრიად საყურადღებოდ უნდა ჩაითვალოს

ახოვანი, სომხური გამოთქმით **ახოჲვან,** წარმოებული სიტყვა არის; მისი ძირია **ხოვ,** ანუ **ხ,** სულის კვეთებით გამოთქმული **თხ,** საიდანაც წარმოსდგა **თხა. თ**-ანი ხშირად ასპირატივია არა თუ წმინდა ქართულ სიტყვებში (**თითქოს**—ითქვას; **თითქმის**—ითქმის), მაშინაც კი როცა ქართული ენათესავება სხვა-ენის სიტყვას (**თხევა—ხევი,** ბერძ. **ხეო,** დენა; **თაკილი**—ბერძ. **ეკია,** შეურაცხყოფა, შერცხვენა; **თევზი**—ბერძ. **იხთუს; თავლა** ბერძ. **ავლის,** ბუდე; ბანაკი). ქართული **ხოვ, თხ,** ძირების ეკვივალენტია სომ **ხოჲ** და ბერძ. **აიგ (იქს, აიგოს).** თვით ბერძნული სახელ სართი სიტყვა **ხაიოს** გვასმენს მეტათეზისის წესით რბილად გამოთქმულს იმავ **აიგ** ძირსა, ეტიმოლოგიურად მსგავსია ქარ. **ახოვანი** და სომ. **ახოჲან** სიტყვებისა და ნიშნავს შნოიანს, კარგს, როგორც ჯეირანს **ახოვანსაც** იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც **ხაიოს** ბერძნულ სიტყვასა ასე, რომ ფსიხიკითაც კი ორთავ ერთნაირობა ეტყობათ. გვესმის, **ახოვანი** რაღაც კარგი უნდა იყვეს, როგორც მაგ. წარმოსადეგი, ტანადი, ის კი დაგვიწყებია, რომ კარგია ეგრევე, როგორც ჯეირანი. ეს უკანასკნელი სიტყვა ღა იხმარება დღეს იმავე მნიშვნელობით, როგორც ბერძნული **ხაიოს.**

ერი, სომხური გამოთქმით **აირ,** ჰსწარმოებს **ერ** ძირისაგან, რომელიც ისმის ლათ. **ვირ** (ვ=უ), ბერძ. **ანერ** (უ=ონ=ან) და თურქ. **ელ.** სიტყვაში. ერის კაცობა ამ განმარტებით აიხსნება და არა მით, ვითომც სომხური იყვესო. ნ. მარის აზრით, სომხური ენა თუმცა გართულდა, გული დაურჩა ისეთი, რომელიც ქართულის მონათესავეა. მაშასადამე, როცა სიტყვა ასეთ შემთხვევას მოჰყვება მაშინ მეტია მისი თქმა, ნასესხებიაო. პირიქით, სამართალი მოითხოვს, ითქვას, მავანი სიტყვა მაშინდელია, როცა სომხის ერი ეთნოგრაფიულად **ხეთის** (მხეთი, სომხეთი, მესხეთი, მცხეთი, სამცხე) და **ურჰალდუს** (იმერ. ქართუ) ერთა შემავალი **ვანი,** სომხური გამოთქმით არის **ვანქ;** აფხაზურად **ვან** ნიშნავს სახლსა, სამყოფსა. მოისმის თათრულ **ბინა** და ქართულ-სომხურ **ბანაკ** სიტყვაში და ხმარებულია ადგილის სახელად **ვანი** იმერეთში და **ვან** ოსმალოს სომხეთში. წარმოებულად ითქმის **სავანე, დავანება** (დაივანა), **მოვანება** (მთავრისა). ქართულში სახლის მნიშვნელობა დაჰკარგვია მას აქეთ, რაც შემოსულა არიული ძირი **სახ** (სახი, სახლი), მეტათეზისის წესით **ხოზ** (რუს. **ხოზიაინ**) და **ხიზ** (ქართ. **ხიზანი, ხიზნვა,** სომხ. **ხიზან, ხიზელ**).

კუკული, სომ. გამოთქმით **კნკულ,** ბერძნული სიტყვაა **კუკულა.** უეჭველია სომხურიც, ქართულიც ნასესხებია. ქართული გამოთქმა უფრო უახლოვდება ბერძნულსა.

პატივი, სომხური გამოთქმით არის **პატივ:** ბერძნულად ითქმის **პოტნია** (ნი=ივ) ანუ **პოტნა,** რაც ნიშნავს საპატიოს, პატივსაცემს, დიდებულს. ერთნაირი ფონეტიკა ქართულ-სომხური სიტყვისა კიდევ არ ნიშნავს მათ ნასესხობას ბერძნულიდგან, მეტადრე ქართულისას სომხურიდგან. **პატივის** ძირი უეჭველია არის **პატ** (ბატ, პეტ, ბად), რომელიც ნიშნავს ბატონობას, დიადობას, ან ბერძნულის აზრით საპატიოსა.

დასი პირდაპირ ბერძნული სიტყვაა **ტასის.**

სიაში მოყვანილია აგრეთვე რამდენიმე სიტყვა სადაურობის მოუხსენებლად. უსაფუძვლობა იქმნება, ჩავთვალოთ ნასესხებად, თუმცა არც ერთია ისეთი უცხო ენებთან ნათესაობა არ ჰქონდეს. მაგ.:

ახალი ძ. **ხან,** ბერძ. **კაინოს** (ხ=კ; ნ=ლ).

გული, სვ. **გუ,** ბერძ. კერ და ლათ. **კორს** (ძ. კორდ). შედ. **მკერდი.**

მდაბიო, ძ. **დაბ,** ბერძ. **ტოპოს,** ადგილი.

ვნება, ძ. **ვნ,** სომხ. **ვნასელ,** რუს. **ვინიტ.** ბრალდება.

თხევა, ძ. ხევ, ბერძ. **ხეო.**

კეთილი, ძ. **კეთ,** ბერძ. **აგათ,** გერმან. **გუტ.**

კვამი, ძ. **კუამ, კუმ,** რომლისაგანაც ჰსწარმოებს **კვამლი,** კუმევა (კმევა), გერმ. **კვალმენ.**

მადლი, ძ. **მადლ,** გერ. **მილდ.**

ყამი, სომხ. გამოთქმით **ყამ.**

ტაბლა, ძ. **ტაბ,** სვ. **ტაბ,** ფიცარი. ლათ. **ტაბულა.**

სი-ტყუა, ძ. **ტყუ,** რომელიც ხმათა ცვლით გამოთქმული არის **თხრ, თქუ;** ორი უკანასკნელი ძირისაგან ჰსწარმოებს **თხრობა, თქუმა** (თქმა), ლათინურ ენაში სამთავ ქართული ძირის ეკვივალენტია **დიკ** (დიცერე). სახელ-ზმნის თავსართი **სი** მოეჰოვებათ აგრეთვე **სიმღერა, სიძვა** და სხვა სიტყვებსა **ტაძარი,** სომხური გამოთქმით არის (**ტაჭარ**).

ფრთე, მარტივი ფთე, **ფთა,** ბერძნ. **პტერონ,** სომხ. **ფეტურ,** გერმ. **ფედერ,** რუს. **პტიცა,** ფრინველი.

ცხელარი, ჯდომა, ძ. **ცხად, სხდ, ჯდ,** რომელთაც ეკვივალენტია ლათ. **სედ** (სედერ), რუს. **სიდ.** (სიდეტ).

წმიდა, ნაზალიზაციონის წესით გამოთქმული არის **წმინდა.** ძ. **წმინდ.** პირველის ეკვივალენტია რუს. **სვიატ,** ხოლო მეორისა პოლონური **სვენტ** (წ=ს; მ=ვ).

ჩემის აზრით ხსენებული სიტყვების ქართულობა მაშინაც კი უეჭველი იქნება, როცა მეცნიერი მკვლევარი მათი სადაურობის წყაროს აღნიშნავს. ეს გარემოება კი იმის მომასწავებელი იქმნება, რომ ენათა ჩასახვის დროს ზოგიერთი ძირი საერთო დასდებია როგორც არიულ ენებს, ისე ქართულ-სომხურსა, ზოგჯერ კერძოდ ქართულსა.

დასასრულ, არ შემიძლიან, არ აღვნიშნო ნ. მარის სამეცნიერო კვლევის მრავალ უცილო ღირსებასთან ერთად თვით გამოცემის ერთი ნაკლი. ნ. მარი თავის ნაშრომს ჰბეჭდავს ხოლმე რუსულად მეცნიერებათა აკადემიის ხარჯით რუსის საზოგადოებისა და მეცნიერთათვის. ასეთი გამოცემა სიძვირის მიზეზითაც ჩვენში ცოტა იყიდება. კარგი იქმნება, თუ პატივცემული მეცნიერი გამოკვლევის ქართულ ტექსტს, თუ ერთიან რასმე წარმოადგენს ისე, როგორც გრ. ხანძთელის ცხოვრება, კვლავ მაინც ცალკე ბროშურადაც გამოსცემს ფასის დაკლებით ქართველ საზოგადოებაში გასავრცელებლად. **პეტრე მირიანაშვილი.**

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 488

ნაზოგადოდ სასწავლებელთა ცხოვრებაში. ამით ჯერ ერთი მოწაფენი ხალისდებიან და ვარჯიშდებიან ლექსების შესწავლა-გამოთქმაში და საზოგადოებას ეჩვევიან და მეორე, მოსწავლეთა მშობლები სასწავლებელს უახლოვდებიან და მის ნაყოფსა ჰხედავენ. მხოლოდ ასეთს, დილა იქნება თუ საღამო, განსაკუთრებით მშობლები უნდა ესწრებოდნენ, თორემ ამას წინად ლომონოსოვის მოსაგონებლად ვაჟთა პროგიმნაზიაში სალიტ. დილა გამართეს და მშობლების მაგიერ მხოლოდ ისეთი პირნი მოიწვიეს, რომელთაც სასწავლებელთან ძალიან ცოტა კავშირი აქვთ. **დავიწყებული.**

იაპონური ზღაპრები

უბაზაძური

ამ სამასი წლის წინად ონსენგურის ოლქში, იოს მაზრის სოფელ ასამიმურაში სცხოვრობდა ერთი კეთილი კაცი სახელად თოქუბეი. თოქუბეი მთელს ოლქში ყველაზე მდიდარი იყო და მურაოსის (სოფლის მამასახლისი) თანამდებობა ეჭირა. ყველაფრით ბედნიერი იყო თოქუბეი. მხოლოდ ერთი რამ აკლდა—უკვე ორმოცი წლისა იყო და შვილი არ გააჩნდა. ეს ძალიან აწუხებდა მასაც, მის ცოლსაც. ცოლ-ქმარი გულმხურვალედ ევედრებოდა ღმერთს ფუდო-მიო-ო-სა, რომლის სახელობაზედაც ასამიმურაში აშენებული იყო საიხოჯის ცნობილი ტაძარი.

ბოლოს ფუდო-მიო-ო-მ შეისმინა მათი ვედრება. თოქუბეის ცოლს ქალი ეყოლა. ბავშვი ძალიან ლამაზი იყო. სახელად ო-თსუიუ დაარქვეს. რაკი დედას რძე არა ჰქონდა, ბავშვისათვის ძიძა დაიქირავეს სახელად ო-სოდე.

ო-თსუიუ გაიზარდა, მზეთუნახავი დადგა. მაგრამ თხუთმეტის წლისა რომ შეიქმნა ლოგინად ჩავარდა. ექიმებს მორჩენის იმედი აღარა ჰქონდათ. მაშინ ძიძა, რომელსაც ო-თსუიუ ღვიძლი შვილივით უყვარდა, ადგა, წავიდა საიხოჯის ტაძარში და გულით შესთხოვა ფუდო-სამას მოერჩინა ავადმყოფი. ყოველდღე დადიოდა ის ტაძარში და გულმხურვალედ ევედრებოდა. სამი კვირის შემდეგ ოთსუიუ უცებ გასაღდა.

მშობლების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. თოქუბეიმ მეგობრებს ნადიმი გაუმართა. მაგრამ იმ საღამოსვე ძიძა ო-სოდე უცებ გახდა ავად. მეორე დილას კი ექიმმა განაცხადა სიკვდილს პირიდან ველარ გავარდებაო.

დაძმარებული თოქუბეის ოჯახობა შეიკრიბა მომაკვდავის სარეცელთან, რომ გამოსთხოვებოდნენ.

— დროა გამოგიტყდეთ იმაში, რაც თქვენ აქნობამდის არ იცოდით, უთხრა მათ ო-სოდემ.-ფუდო-სამამ ლოცვა მისმინა. მთელი ოცდა ერთი დღე ვიფიცებდი მას მე მოვეკალი ო-თსუიუს მაგივრად და მანაც მიიღო ჩემზე ეს დიდი წყალობა. ნუ მიდარდებთ. მხოლოდ ეროსა გთხოვთ: ფუდო-სამას აღვუთქვი ნიშნად ხსოვნისა და მადლობისა ჩემი ხელით დავრგავ ალუბლის ხეს საიხოჯის ბაღში მეთქი. ამ აღთქმას ეხლა მე ვეღარ შევასრულებ და გთხოვთ ჩემს მაგივრად თქვენ დარგოთ... მშვიდობით, ძვირფასნო მეგობარნო. იცოდეთ, ბედნიერი ვარ, რომ ო-თსუიუს მაგივრადა ვკვდები...

ო-სოდე დამარხეს. ო-თსუიუს მშობლებმა საიხოჯის ბაღში ალუბლის მშვენიერი, ნორჩი ხე ჩარგეს. ხემ იხარა, გაიზარდა და მეორე წელიწადს, მეორე თვის მეთექვსმეტე დღეს, ო-სოდეს სიკვდილის დღესა, მთლად საუცხოვო ყვავილით დაიფარა, ორას ორმოცდა თოთხმეტი წლის განმავლობაში ეს ხე მუდამ ყვავილდებოდა მეორე თვის მეთექვსმეტე დღეს და იმის ყვავილი, ვარდისფერი და თეთრი, ქალის ვარდისებურ მკერდის რძის ცვრასა ჰგავდა. ამ ხეს ხალხმა უბაზაქურა დაარქვა, ანუ ძიძას ალუბლის ხე.

სან-განიძე.

ინგლისელი სტუმრები რუსეთში

(დეპეშები)

19 იანვარი.

მოსკოვი. ინგლისელ სტუმართ დაათვალიერეს სასახლეები, საომარ იარაღის საწყობი; ეპისკოპოსმა კი კრემლის ტაძრები და მონასტრები. საუზმის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს მაღაზიები, ინახულეს უნივერსიტეტი, შემდეგ დონის კაზაკთა პოლკიც ინახულეს.

ეპისკოპოს ტრიფონის ბინაზე გამართულ საუზმეს დაესწრო ეპისკოპოსი ანასტასი და სხვა უმაღლესი საასულიერო პირნი. უნივერსიტეტის დათვალიერების შემდეგ სტუმრებმა ინახულეს ტოლსტოის და შინამრეწველობის მუზეუმები, სტუმრების პატივსაცემად საბირჟო საზოგადოებისა და ვაჭრების მიერ გამართულ იქმნა ბანკეტი. კრესტოვნიკოვმა დალია ხელმწიფისა და ინგლისის მეფის სადღეგრძელო და მიესალმა სტუმრებს მოსკოვის სახელით.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები.

ურმია. გუბერნატორის ბრძანებით ჩამოახრჩეს ურმიის ფიდაების მეთაურად ნამყოფი მეშადი-ისმაილი, რომელიც ოთხის წლის განმავლობაში მდიდრებს თავ-ზარსა სცემდა და კარგა ქონებაც შეიძინა. იგი ამას წინად სცდილობდა რუსების წინააღმდეგ ხალხი აეჯანყებინა. სალმასის სოფლის რუსეთის ქვეშევრდომმა მოიჯარადრე ტამარამ კაპიტან გაპონოვს დახმარება სთხოვა. კაპიტანმა ერთი როტა წაიყოლა. ქურთებს სამი კაცი მოუკლა და იფრინა. დილმანში ახლად გასახსნელ საკონსულოს დასაცავად 35 ოსმალთა ჯარის-კაცი მოვიდა. ურმიაში მყოფი ოსმალეთის კონსული შერედედინი, უკანვე გაიწვიეს. იგი განთქმულია მოშუღლეობით. მისმა გაწვევამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, განსაკუთრებით ქრისტიანებზე.

ლონდონი. „რეიტერს“ შეუტყვია, ტყუილია, ვითომც სპარსეთისათვის წინადადება მიეცეთ, ინგლისისა და რუსეთის პროტექტორატს დასთანხმდიო. რუსეთსა და ინგლისს სურვილი აქვთ სპარსეთს დახმარება გაუწიონ, მკვიდრი მთავრობა და წესწყობილება დაამყარებინონო.

ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები.

მუკდენი ჯენძიატუნიდან იუწყებიან, აღმოსავლეთ მონგოლეთის მთავართა კრება, რომელსაც ჩრდილოეთ მონგოლეთის დამოუკიდებლობის თაობაზე თავისი აზრი უნდა გამოეთქვა, ვერ ძოხერხდა. მთავრებმა სხვა და სხვა გარემოება მოიმიზეზეს და კრებაზე არ მოვიდნენ.

ტოკიო. ოფიციოზი „კონო-სიმბუნი“ ამბობს: გერმანიასა ჰსურს ჩინეთის რესპუბლიკის ას მილიონნახევარი ხელი ხელთ იგდოს და ამით თავისი პოლიტიკის შეცდომა გაასწოროს. იაპონიის კაპიტალისტებმა მედგრად უნდა მოჰკიდონ საქმეს ხელი, თორემ მერე გვიანღა იქნება“.

დაარსდა საზოგადოება, რომელიც ეცდება, რომ იაპონიის მთავრობას ჩინეთის რესპუბლიკა შეაწყნარებინოს.

მუკდენი. გენერალ გუბერნატორმა ციციკარის გუბერნატორს ბრძანება გაუგზავნა, ქულუიბუირის საფუდუნო მიაც საჭაროდ აღადგინეთ ჩინეთის მთავრობაო. გუბერნატორმა უარი შემოუთვალა, საკმაო ჯარი არა მყავსო. მოქალაქეებმა და ვაჭრებმა გენერალ-გუბერნატორთან იჩივლეს ჯარის და პოლიციის მიერ ჩადენილ სისასტიკის გამო.

ჩიფუ. დენჯოუფუში მზვერავთა რაზმი და სამასი ახლად გაწვეული ჯარის კაცი წავიდა, თან სამი ზარბაზანი წაიღეს. ქალაქში მშვიდობიანობაა. ჩრდილოეთ შანდუნის ქალაქი ვენდენი რევოლუციონერების მხარეს გადავიდა.

კულჯა. რადგანაც მთავრობის ჯარი რევოლუციონერებმა რამდენჯერმე დაამარცხეს, ურუმციის გუბერნატორი დასთანხმდა სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებაზე.

ურგა. ხმა დავარდა, მონგოლებსა ჰსურთ ხარჯთ-აღრიცხვა გაადიდონ და ამის გამო მთა-მადანთა დამუშავების საქმე რუსებს გადასცესო. მრეწველნი უკვე მისულან ურგას.

იტალია-ოსმალეთის ომი

დეპეშები.

მარსელი. საანკეტო კომისიამ გაათავა მუშაობა ტრიპოლში მიმავალ დატყვევებულ ოსმალების ნამდვილ მიზნის გამოსარკვევად. გამოკვლევის შედეგი პუანკარეს აცნობეს.

ტობრუკი. მფრინავი როგი და კაპიტანი მონტუ ფარმანის ჰაეროპლანით გაფრინდნენ და მტრის ბანაკში ყუმბარებს ისროდნენ, ოსმალნი ჰაეროპლანებს თოფს ესროდნენ, გონტუ მსუბუქად დასჭრეს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

19 იანვარი.

სტამბოლი. რეშიდ-ფაშა სოფიას წავიდა ბატონიშვილის სრულწლოვანების დღესასწაულზე დასასწრებლად.

ტოკიო. ტყვიის ჩამომსხმელ ქარხანაში დინამიტი აფეთქდა. დაიღუპა 6 კაცი, დაშავდა 8.

ნიუ-იორკი. მეფოლადეთა ტრესტის წინააღმდეგ სასამართლოში საჩივარი აღძრეს. ტრესტმა თავის გასამართლებლად განმარტება წარადგინა და აღნიშნა, ჩვენ სრულიადაც არა ვზღუდავთ ვაჭრობასა და არც მეტოქეობასა ვსპობთო.

მექსიკო. ზაპასტასის მომხრეთ და მთავრობის ჯარს ქალაქიდან 36 ვერსის მანძილზე ცხარე ბრძოლა მოუხდათ, ზაპასტას მომხრენი დამარცხდნენ და გაიქცნენ. სულ ამ კვირას დაჰკარგეს 200 კაცი.

ბერგენი. ქრისტიან-ზუნდიდან მოსავალი გემი „ელინი“ სკელანგენთან დაიღუპა. დაიღრჩო 11 მეზღვაური, გადაარჩინეს 4. ზღვამ 7 გვაძი გამორიყა. მეზღვაურებში სხვა და სხვა ეროვნების ხალხი იყო.

ზაგრები. ხორვატების უფლებათა პარტიამ იმპერატორის კაბინეთს პარტიის უკანასკნელ კრების მიერ შემუშავებული მემორანდუმი წარუდგინა. სტუდენტებმა დემონსტრაცია მოაწყვეს. მოითხოვენ ზაგრების უნივერსიტეტისთვის ისეთსავე უფლებას, რანაირიც სხვა უნივერსიტეტებს აქვს. პოლიციამ სიტყვის წარმოთქმა არავის დააცალა და სტუდენტები გაჰფანტა. რამდენიმე სტუდენტი ხმლით დასჭრეს. სტუდენტების არეულობამ ხალხი ააღელვა, უნივერსიტეტი დაკეტეს.

ჰააგა. ქვეყდა პალატამ მოიწონა სამხედრო მინისტრის მიერ შეტანილი პროექტი, რათა ჯარის რიცხვი გაამრავლონ, ხოლო საქსახურის ვადა 8 თვე ნახევარით განსაზღვრონ.

პარიზი. ორი ტაქსომატორი, მიუხედავად გაფიცვისა, შეეცადა მუშაობა დაეწყო. მოხდა შეტაკება გაფიცულთა და პოლიციის შორის. ორი პოლიციელი და ერთი შოფერი დასჭრეს. გაფიცულებმა მატორი დაამსხვრიეს.

ბელგრადი. მილოვანოვიჩის სამინისტრომ მეფეს მოახსენა, სკუპჩინასთან მუშაობა მოუხერხებელია და დაითხოვეთო. მილოვანოვიჩს განზრახვა აქვს, თუ მეფე ამაზე არ დასთანხმდა, სამსახურიდან გადადგეს.

ლისაბონი. რამდენიმე კაცი კიდევ დაუპატიმრეს. შუაგულ ქალაქში ყუმბარით ერთი მოჰკლეს, ორი დასჭრეს. მუშათა სინდიკატების კავშირის სადგომში ყუმბარის ქარხანა აღმოაჩინეს.

რუსეთი.

სარატოვი. ქალაქის საბჭო შუამდგომლობს 200000 მანეთის დახმარების მიცემას დამშეულთა გამოსაკვებად და საზოგადო სამუშაოთა მოსაწყობად.

პეტერბურგი. საოლქო სასამართლომ „სოვრემიონნოე სლოვოს“ რედაქტორს ორი თვის ციხე მიუსაჯა წერილისათვის „ფარული ნაციონალისტი“.

ამოირჩიეს სახელმწიფო საბჭოს ცენტრის ჯგუფის ახალი ბიურო: ავდაკოვი, ბალაშოვი, ერმოლოვი, ილიინი, ფონ-კაუფმანი, მანუხინი, ოლიზარი, ტაგანცევი, ბარონ ტიზენჰაუზენი, ტრუბნიკოვი, შებეკო, შხემანი; მათ კანდიდატებად: ზინოვიევი შესამე, ბარონ დელისპანუზენი, სკირმუნტიო, სანენკო.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ხუთშაბათს, 19 იანვარს, დადგმულმა „ჰამლეტმა“ მაყურებელთა სავსე თეატრი მიიზიდა, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზდობა, ეს არც ისე გასაკვირველია: ტრაგედია „ჰამლეტი“, როგორც უმრავლესობა შექსპირის ნაწარმოებისა, იმისდა მიუხედავად, რომ დაწერილია ოთხი საუკუნის წინ, ისეთივე მომხიბლავი და უკვდავი არიან, როგორიც იყო ტანური, მიუწვდომელი და ამაყი სული თავის ავტორისა.

იცვლება ცხოვრების პირობები და მასთან ერთად იცვლება გარეგანი, ფიზიკური მხარე ადამიანის ყოფისა, მაგრამ სულიერი, ფსიხოლოგიური მხარე კი ძალიან მცირე ევოლიუციას განიცდის.

ტანჯვას და სიხარულს, სასოწარკვეთილებას და აღფრთოვანებას, სიყვარულსა და სიძულვილს, თანაძედროვენიც თითქმის ისევე განიცდიან, როგორათაც განიცდიდნენ წინაპრები ამ რამდენიმე საუკუნის წინ. და შექსპირი ხომ შეუდარებელი მხატვარი იყო ადამიანის ამ სულიერ ცხოვრების გადმოცემაში.

მაგრამ რა გამოვიდა, ნათქვამია: „კარგს მთქმელს, კარგი გამგონიც უნდაო“. უკვდავ შექსპირის ბუმბერაზ შემოქმედების ნაყოფი—ჩვენებურ ძალად დრამატურგის ტანჯვით შობილი „ნაწარმოები“ ხომ არ არის, რომ „შინაურულად“ მოვეპყრათ ჯ. ორ-სამ დღე ში მოვემზადოთ. შექსპირის მიერ გამოყვანილ ტიპების განსახიერებლად საეროა, სასცენო ნიჭის გარდა, დიდი ხნით დაკვირვებული მუშაობა, ბეჯითობა, თორემ ყოველთვის ჩაცვივდებით იმ უხერხულ ძდგომარეობაში რაიცა, ძგონი, უნდა ეგრძნო ჩვენ დასს ხუთშაბათს „ჰამლეტის“ ასრულებით.. თუ ამ საღამოს ავტორის ტანჯული სული, ამ ტრაგედიაში გამოყვანილ ტიპთა შორის იცნობდა ვისძე ისევ **ჰამლეტს** (ვ. ალ. მესხიშვილს). მართალია, ეს უმთავრეს როლთაგანია, მაგრამ ტყუილად ჭგონიათ ერთის და ორის კაცის თუნდა საუკეთესო თამაშიც საკმარისი იყოს, როცა ცხოვრების ბუნებრივად გამომსახავი-მთლიანი ანსაბლი არ არის დაცული და როცა დანარჩენი მონაწილენი, როგორც ურმის თვალში გახირული ჯოხი ისე ეჩრებიან მაყურებლის თვალში...

წარმოიდგინეთ, ისევ **მეფედა** (კლოდიუსი) ჰყავდათ სცენაზე ახლად შესული **ბ. კ. ანდრონიკაშვილი** და იმის შესაფერ (და არა პიესის) **დედოფლად ქ-ნი ქილარჯიშვილი...** ოფელიას როლი კიდევ შეეთავაზებინათ ქ. ვიქტორელისთვის (ღვთის წინაშე, შეშლილობის ხანა საკმარისის ხელოვნებით ჩაატარა). უმრავლესობა დიდებულთა და კარის კაცთა სცენაზე გამოსაშვებად არ არის, როლები არ იცოდნენ, ერთი მათგანი კიდეც გაჩერდა როლის ასრულების დროს და ბ. ბეგლარამაც ვერ უშველა. არც არიან გასამტყუნი: ორ-სამ დღეში ყოველად შეუძლებელი იყო ამ რთული პიესის მომზადება და ბარემ ღა თუ სცენებსაც ამოკლებდნენ, იძულებულ შეემოკლებინათ მაინც, რომ, მოთამაშეთა შორის დარჩენილიყვნენ ბბ. მესხიშვილი, გედევანოვი (პოლინიუს), მგალობლიშვილი (ლაერტი), მატარაძე (აჩრდილი მამა) და კ. მესხი—მეესაფლავე.

ვარწმუნებთ ჩვენს მსახიობთ, რომ დამსწრე საზოგადოების უმრავლესობა მეტად უკმაყოფილო დარჩა ხუთშაბათის წარმოდგენით და მართლაც, ვისაც კი უწინ უნახავს თუნდა ჩვენშივე დადგმული ჰამლეტი, ხუთშაბათის წარმოდგენა ვერ დააკმაყოფილებდა.

ბბ. მეტი ყურადღება და მომზადება ესეთ რთულ პიესის დადგმის დროს მაინც და ანგარიშის გაწევაც, რომ ჩვენ საზოგადოებასაც, რაც დრო გადის, ხელოვნებისადმი გემოვნება უნვითარდება და მისი დაკმაყოფილება არც ისე ადვილია. წარმოდგენა ორის თხუთმეტ წუთზე გათავდა. **გ. ა—ლი.**

წერილი რედ. მიმართ

წ. კ. საზ. თელავის განყოფილების სკოლაში გამართულ შობის ხის ანგარიშში, რომელიც „სახ. გაზეთში“ დაიბეჭდა, შეცდომით გამოტოვებულია ქ-ნი პ. მამინაშვილისა და დ. მარქაროვი. პირველმა შემოსწირა ხის მოსართავი სათამაშოები, ხოლო მეორემ—დაკლებულ ფასში. დაუთმო მოსწავლეთათვის ხალათები და სხვ.

ამისათვის წ. კ. საზ. თელავის განყოფილების გამგეობა მოვალეთ სთვლის თავის თავს მადლობა უძღვნას მათ ამ შეწირულებისათვის. წ. კ. ს. თელავის განყ. გამგეობის მონდობილებით. **ვ. პაატაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსაღები ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—II კლ., ხად. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—II კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—III კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 1 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 8 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—II კლ. დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან: 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. ხაფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № , I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის I და მე-2 მატარებელს მიესდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 3. ტელეფ. 715).

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—სოფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკითფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუაღღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაივლიან ოთხშაბათობით და პარაკსეობით შუაღამეს.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ., № 15.
ხარფუხინა—[illegible]
კუკიისა—ბერეზინის ქუჩა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის სხვადასხვა ექიმები-მოვალენი ორიენტირობ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭიროო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **ბ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 1). ტელ. 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შეტანაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათა არღვევენ, ცუდს საბჭოლ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.

განცხადებანი

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ**

(თ. 1646.10) **მიკირტუმოვი.**

გამოცდილმა მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრედვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв, 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.68)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-●●—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Голованинскій просп. д. № 8 და წერაკითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიციარიძესთან, თ. თთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტარაფიმ ინსარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე-**

(წ.—1627—19 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**